

შპს სიღნაღი ჰოლდინგი ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი 2024

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 შპს სიღნაღი ჰოლდინგი და მისი საქმიანობა	6
2 მომზადების საფუძველი	7
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	7
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას.....	9
5 ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება	10
6 ახალი სააღრიცხვო განცხადებები.....	10
7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	11
8 ძირითადი საშუალებები	12
9 კაპიტალური დანახარჯებისთვის გადახდილი ავანსები.....	13
10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
11 ფული და ფულის ექვივალენტები	14
12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	14
13 სხვა საგადასახადო ვალდებულებები	14
14 სესხები.....	15
15 საწესდებო კაპიტალი	15
16 შემოსავალი მომხმარებლებთან დადებული კონტრაქტებიდან	15
17 შემოსავლის თვითღირებულება.....	16
18 ადმინისტრაციული ხარჯები	16
19 მთლიანი გადასახადები, გარდა მოგებისა	16
20 გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	16
21 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	17
22 პროფესიული მომსახურების ხარჯები	17
23 სხვა შემოსულობები, წმინდა	17
24 ფინანსური შემოსავლები.....	18
25 ფინანსური ხარჯები.....	18
26 არამაკონტროლებელი წილი	19
27 გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები	19
28 ფინანსური რისკების მართვა	20
29 კაპიტალის მართვა	25
30 რეალური ღირებულებების გამჟღავნება.....	26
31 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	26

შპს სიღნაღი ჰოლდინგი (ჯგუფი)
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

		შენიშვნა 31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	103,462	73,421
არამატერიალური აქტივები		23	-
კაპიტალური დანახარჯებისთვის გადახდილი ავანსები	10	5,292	9,483
შეზღუდული ფული	11	200	200
სულ გრძელვადიანი აქტივები		108,977	83,104
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		2,457	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,232	1,951
ფული და ფულის ექვივალენტები	11	964	2,410
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,653	4,361
სულ აქტივები		113,630	87,465
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი		67,363	47,363
გადახდილი სააქციო კაპიტალი		6,022	-
დაგროვილი ზარალი		(11,953)	(7,529)
არა მაკონტროლებელი წილი		24,135	17,100
სულ საკუთარი კაპიტალი		85,567	56,934
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	14	22,788	23,635
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		22,788	23,635
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები		-	2,238
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	3,423	2,524
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		1,719	2,134
დასაქმებულთა გასამჯელოების ვალდებულებები		133	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,275	6,896
სულ ვალდებულებები		28,063	30,531
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		113,630	87,465

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2025 წლის 24 სექტემბერს .

გრიგოლ ცერცვაძე
აღმასრულებელი დირექტორი

დავით ლიპარტია
ფინანსური დირექტორი

შპს სილნადი ჰოლდინგი (ჯგუფი)
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 31 დეკემბერი 2024 31 დეკემბერი 2023			
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	103,462	73,421
არამატერიალური აქტივები		23	-
კაპიტალური დანახარჯებისთვის გადახდილი ავანსები	10	5,292	9,483
შეზღუდული ფული	11	200	200
სულ გრძელვადიანი აქტივები		108,977	83,104
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		2,457	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,232	1,951
ფული და ფულის ექვივალენტები	11	964	2,410
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,653	4,361
სულ აქტივები		113,630	87,465
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი		67,363	47,363
გადახდილი სააქციო კაპიტალი		6,022	-
დაგროვილი ზარალი		(11,953)	(7,529)
არა მაკონტროლებელი წილი		24,135	17,100
სულ საკუთარი კაპიტალი		85,567	56,934
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	14	22,788	23,635
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		22,788	23,635
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები		-	2,238
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	3,423	2,524
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		1,719	2,134
დასაქმებულთა გასამჯელოების ვალდებულებები		133	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,275	6,896
სულ ვალდებულებები		28,063	30,531
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		113,630	87,465

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2025 წლის 24 სექტემბერს .

გრიგოლ ცერცვაძე
აღმასრულებელი დირექტორი

დავით ლიპარტია
ფინანსური დირექტორი

შპს სიღნაღი ჰოლდინგი (ჯგუფი)

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი მომხმარებლებთან დადებული კონტრაქტებიდან		1,370	-
თვითღირებულება		(2,442)	-
საერთო მოგება		(1,072)	-
სხვა შემოსავალი		186	9
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები		(218)	-
ადმინისტრაციული ხარჯები	18	(3,981)	(1,623)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ნეტ		270	-
სხვა შემოსულობები, წმინდა	23	170	68
საოპერაციო ზარალი		(4,645)	(1,546)
ფინანსური ხარჯები	25	(1,508)	(666)
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგრვამდე		(6,153)	(2,212)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(6,153)	(2,212)
სულ სრული ზარალი მისაკუთვნიებელი:			
- მშობელი კომპანიის მფლობელზე		(4,424)	(1,537)
- არამაკონტროლებელ წილზე	26	(1,729)	(675)

შპს სიღნაღი ჰოლდინგი (ჯგუფი)
 კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებული ანგარიშგება
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	გადახდილი სააქციო კაპიტალი	სულ	არამაკონტროლებ ელი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	35,274	(5,992)	-	29,282	13,058	42,340
სულ ოპერაციები მფლობელთან საწესდებო კაპიტალის გაზრდა	12,089	-	-	12,089	4,717	16,806
სულ ოპერაციები მფლობელთან	12,089	-	-	12,089	4,717	16,806
სრული შემოსავლები: 2023 წლის ზარალი	-	(1,537)	-	(1,537)	(675)	(2,212)
სულ 2023 წლის სრული ზარალი	-	(1,537)	-	(1,537)	(675)	(2,212)
ნაშთი, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	47,363	(7,529)	-	39,834	17,100	56,934
სულ ოპერაციები მფლობელთან საწესდებო კაპიტალის გაზრდა	20,000	-	-	20,000	8,764	28,764
მთლიანად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი	-	-	6,022	6,022	-	6,022
სულ ოპერაციები მფლობელთან	20,000	-	6,022	26,022	8,764	34,786
სრული ზარალები: 2024 წლის ზარალი	-	(4,424)	-	(4,424)	(1,729)	(6,153)
სულ 2024 წლის სრული ზარალი	-	(4,424)	-	(4,424)	(1,729)	(6,153)
ნაშთი, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	67,363	(11,953)	6,022	61,432	24,135	85,567

შპს სიღნაღი ჰოლდინგი (ჯგუფი)
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლისგან მიღებული თანხები (დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით)		1,493	-
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები (საქონელსა და მომსახურებაზე გადასახადების ჩათვლით)		(6,068)	(1,216)
დაქირავებულ მომუშავეებზე გადახდილი თანხები (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)		(2,956)	(662)
ხაზინიდან დაბრუნებული თანხები		4,522	3,690
ოპერაციებში მიღებული ფულადი სახსრები		(3,009)	1,812
მიღებული პროცენტები		14	21
საპროცენტო დანახარჯები, ნასესხები სახსრები		(2,095)	(1,482)
საოპერაციო საქმიანობაში მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(5,090)	351
ფულადი ნაკადების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
მშენებლობისთვის გადახდილი თანხები (დღგ-ს ჩათვლით)		(28,159)	(25,793)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(28,159)	(25,793)
ფულადი ნაკადების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის გაზრდიდან მიღებული თანხები	15	30,061	15,681
ნასესხები თანხების მიღება		59,519	12,847
ნასესხები თანხების დაბრუნება		(57,685)	(1,295)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		31,895	27,233
სავალუტო კურსის ცვლილებების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(92)	180
ფულის და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)		(1,446)	1,971
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	11	2,610	639
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასასრულს	11	1,164	2,610

1 შპს სიღნაღი ჰოლდინგი და მისი საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შპს „სიღნაღი ჰოლდინგისთვის“ („კომპანია“) და მისი მთლიანად ფლობილი შვილობილისთვის (ერთად როგორც „ჯგუფი“ ან „სიღნაღი ჰოლდინგი ჯგუფი“).

კომპანია დაარსდა 2018 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდის მიერ და რეგისტრირებულია საქართველოში.

კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“, სარეგისტრაციო ნომრით: 405284632.

2018 წლის 17 აგვისტოს კომპანიამ შპს „სასტუმრო სიღნაღში“ აქციების 70% შეიძინა. აქციების დარჩენილ 30%-ს ფლობს შპს ეს.სი რეალ ისთით ენდ დეველოპმენტი (404557644), რომელიც არის კომპანიის თავდაპირველი დამფუძნებელი. რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“, სარეგისტრაციო ნომრით: 404557644.

2021 წლის 29 მარტს კომპანიამ დააფუძნა შპს ბოდბე მენეჯმენტი 70%-იანი წილით, დარჩენილი 30% ასევე ფლობს შპს ეს.სი რეალ ისთით ენდ დეველოპმენტი. 2024 წლის 3 დეკემბერს შპს სასტუმრო სიღნაღში დააფუძნა ახალი კომპანია შპს ბოდბე კონცეპტი (440401290).

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უშუალო მშობელ კომპანიას წარმოადგენდა საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი (GTDF), საბოლოო მშობელ კომპანიას წარმოადგენდა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“, და საბოლოო ბენეფიციარ მფლობელს წარმოადგენდა უტა ივანიშვილი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2024 წლის დეკემბერში განხორციელებული მფლობელობაში ცვლილების შედეგად, უტა ივანიშვილს ეკუთვნოდა კომპანიის 35%-იანი წილი, ხოლო დარჩენილი 65%-ი - თხუთმეტ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ფიზიკურ პირს, რომელთაგან არცერთს არ გააჩნდა კომპანიის 5%-ზე მეტი წილი.

ძირითადი შვილობილი. ჯგუფის შვილობილი კომპანიები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ. ჯგუფის მიერ ფლობილი პროპორციული წილი და ხმის უფლებები ერთმანეთის ტოლია.

საწარმოს სახელწოდება	ძირითადი საქმიანობა	დაარსების თარიღი	შექმენის თარიღი	ჯგუფის მიერ ფლობილი წილის %	
				31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შპს „სასტუმრო სიღნაღში“	ქონების მფლობელობა	8 მაისი 2018	17 აგვისტო 2018	70%	70%
შპს „ბოდბე მენეჯმენტი“	სასტუმროს ოპერირება	29 მარტი 2021	-	70%	70%
შპს ბოდბე კონცეპტი	საცალო ვაჭრობა	3 დეკემბერი	-	70%	-

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა მაღალი კლასის სასტუმროს ოპერირება სიღნაღში (კახეთის რაიონი), საქართველო. ამ მიზნით, ჯგუფმა შეიძინა არაერთი ქონება (ძირითადად მიწის ნაკვეთები და ააშენა სასტუმრო. სასტუმრომ ოპერირება დაიწყო 2024 წლის 1 ოქტომბერს.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. ჯგუფის იურიდიული მისამართია #39ა ილია ჭავჭავაძის გამზირი, 0162, თბილისი, საქართველო და საქმიანობების ძირითადი ადგილია #37მ ილია ჭავჭავაძის გამზირი, ბიზნეს ცენტრი „აქსის თაუერსი“, 0179, თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარდგენია ქართულ ლარში (GEL), თუ სხვანაირად არ არის მითითებული.

თანხების დამრგვალება. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში და განმარტებით შენიშვნებში წარდგენილი ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ათასეულ ქართულ ლარამდე თუ სხვანაირად არ არის მითითებული.

2 მომზადების საფუძველი

ჯგუფის ძირითადი საქმიანობები ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა განსხვავებული ინტერპრეტაციებისა და ხშირი ცვლილებების საგანია.

ადგილობრივი გარემო. განვითარებადი ეკონომიკები, როგორცაა საქართველოსი, სწრაფი ცვალებადობით ხასიათდება და მოწყვლადია გლობალური ბაზრის მდგომარეობის და ეკონომიკური ვარდნების მიმართ. შედეგად, საქართველოში საქმიანობა უკავშირდება გარკვეულ რისკებს რომლებიც როგორც წესი არ ასოცირდება განვითარებულ ბაზრებთან. მიუხედავად ამისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ განახორციელა არაერთი სამოქალაქო, კრიმინალური, საგადასახადო ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმა რომლებმაც პოზიტიურად იმოქმედეს ქვეყნის საერთო საინვესტიციო კლიმატზე. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება დიდწილად დამოკიდებულია ეკონომიკის ეფექტურობაზე, ფინანსურ და მონეტარულ ინდიკატორებზე რასაც მთავრობა ადგენს, საგადასახადო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან ერთად.

რუსეთ-უკრაინის ომი. ომს უარყოფითი გავლენა ექნება გლობალურ ეკონომიკაზე რაც გამოიხატება სასაქონლო ფასების ზრდაში, ნავთობის, გაზის, ქვანახშირის დეფიციტში, ბიზნესსაქმიანობის შეფერხებაში და ა.შ. კომპანიაზე მნიშვნელოვანი პირდაპირი გავლენა არ აქვს უკრაინაში, რუსეთსა და ბელარუსში მიმდინარე მოვლენებს.

ხელმძღვანელობა ფიქრობს რომ ამას მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება ჯგუფის საქმიანობაზე. იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს ის სრული გავლენა, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ჯგუფის საქმიანობაზე, რადგან გაურკვეველობაა ზოგადად ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ მდგომარეობას არსებულ გარემოებებში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების და შეფასების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის კონვენციის მიხედვით, მოდიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების პირველადი აღიარებით რეალური ღირებულების საფუძველზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარდგენილ პერიოდში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს აღრიცხვის გარკვეული კრიტიკული შეფასებების გამოყენებას. ის ასევე ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიღებისას განახორციელონ მსჯელობები. საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მსჯელობების და სირთულის მაღალ დონესთან ან საკითხები, სადაც დაშვებები და გაანგარიშებები არსებითია ფინანსური ანგარიშგებისთვის, განმარტებულია შენიშვნაში 4.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის ოპერირებს. კომპანიის სამუშაო და კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში (“GEL”), რომელიც კომპანიის წარსადგენი ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის (“NBG”) ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსით გადაანგარიშებიდან, აღიარდება მოგება ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი ან დანახარჯი / „სხვა შემოსულობები/(ზარალები), წმინდა“. უცხოური ვალუტის კურსის შემოსავლები და ხარჯები რომლებიც უკავშირდება გაცემულ სესხს, სესხებს და საბანკო დეპოზიტებს მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში წარდგენილია ფინანსური შემოსავლების ან დანახარჯების მუხლში.

ყველა სხვა უცხოური ვალუტის მოგება და ზარალი წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში “სხვა შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა“ მუხლში. წლის ბოლოს არსებული ვალუტის კურსებით გადაანგარიშება არ ეხება არაფულად მუხლებს რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით. არაფულადი მუხლები რომლებიც რეალური ღირებულებითაა შეფასებული უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშდება უცხოური ვალუტის კურსების გამოყენებით იმ თარიღისათვის როდესაც რეალური ღირებულება განისაზღვრა. უცხოური ვალუტის კურსების ცვლილების გავლენა არაფულად მუხლებზე, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, აღირიცხება როგორც რეალური ღირებულების მოგება ან ზარალის ნაწილი. უცხოურ ვალუტაში ნაშთების გადაანგარიშებისთვის შემდეგი ძირითადი საკურსო განაკვეთები იყო გამოყენებული:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აშშ დოლარი 1 = ლარი	2.8068	2.6894
ევრო 1 = ლარი	2.9306	2.9753

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება. ხელმძღვანელობამ ეს ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს ფუნქციონირებადობის დაშვების პრინციპის საფუძველზე. იმ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული გაურკვევლობების შესახებ რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს საწარმოს ფუნქციონირებადობის დაშვების მიმართ, იხილეთ შენიშვნა 4.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და მსჯელობების მუდმივი გადახედვა ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრულ საფუძველზე მოხდება არსებული გარემოებების გათვალისწინებით. ხელმძღვანელობა, როგორც შეფასებებთან, ასევე იყენებს მსჯელობებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. მსჯელობებს, რომელთაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და შეფასებებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს არსებითი კორექტირებები აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. საწარმო ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულების საფუძველზე.

იმის განსასაზღვრად ტრანზაქციისას გამოიყენება საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთები, თუ ასეთი ტრანზაქციებისთვის აქტიური ბაზარი არ არსებობს, გამოყენებულია მსჯელობები. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ მსჯელობის საფუძველად გამოყენებულია მსგავსი ტრანზაქციების ფასების ანალიზი არადაკავშირებულ მხარეებთან. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების ვადები და პირობები წარმოდგენილია შენიშვნაში 7.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება. ხელმძღვანელობამ ეს ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ჯგუფის ფუნქციონირებადობის დაშვების პრინციპის საფუძველზე. ამაზე მსჯელობისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გააანალიზა მაკროეკონომიკური მდგომარეობის გავლენა მის ოპერაციებზე.

5 ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

შემდეგი ახალი სტანდარტები და ცვლილებები ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრიდან:

ცვლილებები ფასს 16-ში იჯარა: საიჯარო ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ვალდებულებების გრძელვადიანად და მიმდინარედ კლასიფიკაცია – ცვლილებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში განახლდა 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს).

ცვლილებების გამოყენებას არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 ახალი სააღრიცხვო განცხადებები

გამოცემული იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა გამოყენებაც სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, და რომელთა ვადაზე ადრე გამოყენება კომპანიას არ დაუწყია.

ცვლილებები ბასს 21-ში-ვალუტის გადაცვლის შეუძლებლობა (გამოქვეყნდა 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაში შევა იმ წლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება ან მის შემდეგაა 2025 წლის 1 იანვარი).

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და გაზომვაში- ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში (გამოქვეყნდა 2024 წლის 30 მაისს და ძალაში შევა იმ წლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება ან შემდეგია 2026 წლის 1 იანვრისა).

ფასს 18- ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და გამჟღავნება (გამოქვეყნდა 2024 წლის 9 აპრილისა და ძალაში შევა იმ წლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება ან შემდეგია 2027 წლის 1 იანვრისა)

ფასს 19-შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: გამჟღავნება (გამოქვეყნდა 2024 წლის 9 მაისს და ძალაში შევა იმ წლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება ან შემდეგია 2024 წლის 1 იანვრისა).

ფასს 14-რეგულირებადი გადავადების ანგარიშები (გამოქვეყნდა 2014 წლის 30 იანვარს და ძალაში შევიდა იმ წლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება ან შემდეგია 2016 წლის 1 იანვრისა).

აქტივების გაყიდვა ან შეტანა ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ ან ერთობლივ საწარმოს შორის - ცვლილებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში (გამოქვეყნდა 2014 წლის 11 სექტემბერს; ძალაში შესვლის თარიღი დადგენილი იქნება IASB-ის მიერ).

ფასს-ის საანგარიშო სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესებები (გამოქვეყნდა 2024 წლის ივლისში და ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვრიდან).

ამჟამად კომპანია აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს სიღნაღი ჰოლდინგი (ჯგუფი)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 31 დეკემბერი 2024

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი ნაშთები:

	შენიშვნა	მნიშვნელოვანი მეწილეები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
ფული და ფულის ექვივალენტები	11	-	19
მოთხოვნები კაპიტალის გაზრდისათვის	10	697	-
წინასწარ გადახდილი თანხები იჯარისათვის	10	-	15
ვალდებულებები მშენებლობის მომსახურებისთვის	12	-	(159)
ვალდებულებები მართვის საზღაურისათვის	12	(104)	-
მიღებული სესხები დაკავშირებული მხარესგან	14	(22,788)	-

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი ნაშთები:

	შენიშვნა	მნიშვნელოვანი მეწილეები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
ფული და ფულის ექვივალენტები	11	-	24
მოთხოვნები კაპიტალის გაზრდისათვის	10	1,748	-
ვალდებულებები მშენებლობის მომსახურებისთვის	12	-	(896)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი შემოსავლები და ხარჯები:

	შენიშვნა	მნიშვნელოვანი მეწილეები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
მართვის საზღაური და დარიცხული ხარჯები	18	(88)	-
საიჯარო ხარჯები	18	-	(51)
საპროცენტო ხარჯები მიღებულ სესხებზე	25	(244)	-

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი შემოსავლები და ხარჯები:

	შენიშვნა	მნიშვნელოვანი მეწილეები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
მართვის საზღაური და დარიცხული ხარჯები	18	(23)	-

ძირითადი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. ძირითადი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება მოიცავს ხელფასებსა და ბონუსებს.

	2023	2022
<i>მოკლევადიანი სარგებელი:</i>		
- ხელფასები, ბონუსები და სხვა	98	79
სულ ძირითადი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია	98	79

შპს სიღნაღი ჰოლდინგი (ჯგუფი)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 31 დეკემბერი 2024

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია თვითღირებულებით გარიგების დანახარჯების ჩათვლით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ანარიცხი, როცა მოითხოვება. ძირითადი საშუალებებში შედის: მიწა, კომპიუტერები და მოწყობილობები, სხვა აქტივები და დაუმთავრებელი მშენებლობები რომლებიც სამომავლოდ გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც ძირითადი საშუალება.

მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ იცვითება. სხვა ძირითადი საშუალებების ერთეულების ცვეთა გაანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, თვითღირებულების მიკუთვნებით მათ ნარჩენ ღირებულებაზე შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

სასარგებლო მომსახურების ვადა, წლები

კომპიუტერები და მოწყობილობები

3 - 5

სხვა აქტივები

5

აქტივის ნარჩენ ღირებულება არის იმ თანხის შეფასება, რომელსაც ჯგუფი მიმდინარე პერიოდში მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლის დანახარჯების გამოკლების შემდეგ, თუ აქტივი უკვე იმ ასაკში და მდგომარეობაში რომელიც მოსალოდნელია რომ ექნება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოსთვის. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ცვლილებები ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებში იყო შემდეგი:

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და აღჭურვილობა	კომპიუტერები და მოწყობილობები	სხვა აქტივები	მიმდინარე მშენებლობა	სულ
თვითღირებულება								
1 იანვარი 2023	4,815	-	-	-	5	253	45,487	50,560
შემცენები	182	-	-	-	3	-	21,320	21,505
დაკაპიტალიზებული საპროცენტო ხარჯი	-	-	-	-	-	-	1,359	1,359
31 დეკემბერი 2023	4,997	-	-	-	8	253	68,166	73,424
შემცენები	5	2,305	-	1,169	202	85	25,464	29,230
დაკაპიტალიზებული საპროცენტო ხარჯი	-	-	-	-	-	-	1,833	1,833
გასვლები	-	-	-	(642)	-	-	-	(642)
კატეგორიის შორის გადატანა	-	81,386	1,276	12,374	-	427	(95,463)	-
31 დეკემბერი 2024	5,002	83,691	1,276	12,901	210	765	-	103,845
დაგროვილი ცვეთა								
1 იანვარი 2023	-	-	*	-	(3)	-	-	(3)
წლის ცვეთის ხარჯი	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	-	-	-	(3)	-	-	(3)
წლის ცვეთის ხარჯი	-	(189)	(10)	(145)	(21)	(15)	-	(380)
31 დეკემბერი 2024	-	(189)	(10)	(145)	(24)	(15)	-	(383)
საბალანსო ღირებულებები								
1 იანვარი 2023	4,815	-	-	-	2	253	45,487	50,557
31 დეკემბერი 2023	4,997	-	-	-	5	253	68,166	73,421
31 დეკემბერი 2024	5,002	83,502	1,266	12,756	186	750	-	103,462

შპს სიღნაღი ჰოლდინგი (ჯგუფი)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 31 დეკემბერი 2024

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9 კაპიტალური დანახარჯებისთვის გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარეცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება ან ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება ან ზარალში.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გადახდილი ავანსები ქონების მშენებლობისთვის	13,094	17,554
სულ კაპიტალური დანახარჯისთვის გადახდილი ავანსები	13,094	17,554
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარეცხები	(7,802)	(8,071)
სულ კაპიტალური დანახარჯისთვის გადახდილი ავანსები, წმინდა	5,292	9,483

	გადახდილი ავანსები ძირითადი საშუალებების შესაძენად		სულ
2023 წლის 1 იანვარს	7,538		7,538
მოდრაობა წლის განმავლობაში	1,945		1,945
2023 წლის 31 დეკემბერს	9,483		9,483
მოდრაობა წლის განმავლობაში	(4,460)		(4,460)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	269		269
2024 წლის 31 დეკემბერს	5,292		5,292

შპს სიღნაღი ჰოლდინგი (ჯგუფი)**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 31 დეკემბერი 2024***(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები სასტუმროს ვიზიტორებისგან	33	-
მოთხოვნები ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	173	-
მოთხოვნები მარაგების რეალიზაციიდან	171	-
მოთხოვნები კაპიტალის გაზრდისთვის	697	1,748
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	1,074	1,748
გადახდილი ავანსები საოპერაციო ხარჯებისთვის	103	203
გადახდილი ავანსები მარაგების შესაძენად	55	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,232	1,951

11 ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული მოთხოვნამდე ანგარიშებზე ბანკში	964	2,410
შეზღუდული ფული	200	200
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,164	2,610

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისთვის ფული და ფულის ექვივალენტები თავსდება პირველ დონეში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ამ ნაშთებისათვის 2024 წლის 31 დეკემბრისათვის ნულის ტოლია. მოთხოვნამდე ანგარიშების ნაშთები ბანკში არის ქართულ ბანკში, რომელიც შეფასებულია როგორც B by Fitch-ის სარეიტინგო სისტემით.

12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ვალდებულებები ძირითადი საშუალებების მშენებლობისთვის	2,618	2,528
სავაჭრო ვალდებულებები	359	-
ვალდებულებები მარაგების შესყიდვისთვის	252	-
ვალდებულებები მართვის მომსახურებისთვის	104	-
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	3,333	2,528
მიღებული წინასწარი დეპოზიტები	90	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,423	2,528

13 სხვა საგადასახადო ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საგადასახადო ვალდებულებები შეადგენდა 1,729 ათას ლარს და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 2,145 ათას ლარს.

შპს სიღნაღი ჰოლდინგი (ჯგუფი)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 31 დეკემბერი 2024

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

14 სესხები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სესხები დაკავშირებულ მხარესთან	22,788	-
ბანკის სესხები	-	25,873
სულ სესხები	22,788	25,873
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მათ შორის:		
- გრძელვადიანი	22,788	23,635
- მოკლევადიანი	-	2,238
სულ სესხები	22,788	25,873

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების ბალანსები დენომინირებული იყო აშშ დოლარში. 2024 წლის ნოემბერში ჯგუფმა სრულად განახორციელა Halyk ბანკის მიმართ არსებული სესხების დაფარვა და აითვისა სესხი შპს „საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდთან“ გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში.

15 საწესდებო კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწარმოს საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 67,363 ათას ლარს (31 დეკემბერი 2023: 47,363 ათასი ლარი). საიდანაც მფლობელის მიერ დასაფარი იყო 697 ათასი ლარი (31 დეკემბერი 2023: 1,748 ათასი ლარი). 2024 წლის განმავლობაში მფლობელის მიერ კაპიტალის ფულადი შენატანი შეადგენდა 30,061 ათას ლარს, 2023 წლის განმავლობაში - 15,681 ათას ლარს.

16 შემოსავალი მომხმარებლებთან დადებული კონტრაქტებიდან

ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს ნომრების გაქირავებას, საკვებს და სასმელებს, გამაჯანსაღებელ კლუბსა და SPA მომსახურებებს. ამონაგები აღიარდება დღგ-ს და ფასდაკლებების გამოკლებით.

ამონაგები ნომრების გაქირავებიდან აღიარდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გატარებული ღირებულების მიხედვით. ჯგუფს სტანდარტული და სპეციალური განაკვეთები აქვს ნომრების გაქირავებისთვის. სპეციალური განაკვეთის შეთავაზება გაყიდვების და რეზერვაციების დეპარტამენტის მიერ ხდება განსაკუთრებული სტუმრებისთვის, კორპორატიული კლიენტებისა და ჯგუფებისთვის, ან სარეკლამო აქტივობის ფარგლებში.

ამონაგები საკვების და სასმელების გაყიდვიდან და ამონაგები გამაჯანსაღებელი კლუბიდან და SPA-დან აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მომხმარებლის მიერ პროდუქტის მიღებისას საოპერაციო სისტემაში ასახული ფასების შესაბამისად.

ამონაგები სხვა მომსახურებების გაწევიდან აღიარდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მომსახურების გაწევის ხანგრძლივობის მიხედვით.

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების ანალიზი კატეგორიის მიხედვით:

	2024	2023
კვებიდან მიღებული შემოსავალი	644	-
ოთახების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი	343	-
სასმელებიდან მიღებული შემოსავალი	167	-
შემოსავალი ჯანმრთელობის კლუბიდან/სპა ცენტრიდან	26	-
შემოსავალი სხვა დეპარტამენტებიდან	190	-
მთლიანი შემოსავალი	1,370	-
შემოსავლის აღიარების დრო	2024	2023
დროის განმავლობაში	533	-
დროის გარკვეულ მომენტში	837	-
მთლიანი შემოსავალი მომხმარებლებთან დადებული კონტრაქტებიდან	1,370	-

შპს სიღნაღი ჰოლდინგი (ჯგუფი)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 31 დეკემბერი 2024

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17 შემოსავლის თვითღირებულება

	შენიშვნა	2024	2023
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯები	21	1,414	-
გამოყენებული საკვების და სასმელების თვითღირებულება		373	-
სპა მარაგების თვითღირებულება		177	-
სტუმრებისთვის განკუთვნილი მარაგების თვითღირებულება		122	-
სასმელების თვითღირებულება		71	-
დასუფთავების მარაგების თვითღირებულება		49	-
სამზარეულოსთვის გამოყენებული მარაგების თვითღირებულება		32	-
სხვა ხარჯები		204	-
მთლიანი შემოსავლის თვითღირებულება		2,442	-

18 ადმინისტრაციული ხარჯები

	შენიშვნა	2024	2023
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯები	21	1,819	585
სხვა გადასახადები გარდა მოგებისა	19	832	576
ძირითადი საშუალების ცვეთის ხარჯი		382	-
შემენასთან დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები		197	-
დაბალი ღირებულების იჯარის ხარჯები		112	252
მოკლევადიანი იჯარის ხარჯები		95	-
კომუნალური ხარჯები		93	-
ბანკის საკომისიო ხარჯები		92	70
მართვის საზღაური და დარიცხვები		88	23
ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები		57	-
პროფესიული მომსახურებები	22	49	100
კომუნიკაციის ხარჯები		24	-
საოფისე ნივთები		21	-
სხვა ხარჯები		120	17
სულ ადმინისტრაციული ხარჯები		3,981	1,623

19 მთლიანი გადასახადები, გარდა მოგებისა

	2024	2023
ქონების გადასახადის ხარჯი	829	573
მიწის გადასახადის ხარჯი	3	3
მთლიანი გადასახადები, გარდა მოგებისა	832	576

20 გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები

	2024	2023
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	21	125
მარკეტინგის ხარჯები		55
დაწინაურება		38
მთლიანი გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	218	-

შპს სიღნაღი ჰოლდინგი (ჯგუფი)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 31 დეკემბერი 2024

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

21 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

	2024	2023
ასახული თვითღირებულებაში:		
ხელფასები და გასამრჯელოები	1,167	-
სხვა დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	113	-
გამოუყენებელი შვებულების ხარჯები	96	-
დირექტორებისა და შერჩეული თანამშრომლებისთვის გაცემული ფულადი პრემიები	18	-
სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზღვევა	13	-
სახელმწიფო საპენსიო ფონდის შენატანები	7	-
	1,414	-
ასახული გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯებში:		
ხელფასები და გასამრჯელოები	99	-
დირექტორებისა და შერჩეული თანამშრომლებისთვის გაცემული ფულადი პრემიები	15	-
სხვა დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	11	-
	125	-
ასახული ადმინისტრაციულ ხარჯებში:		
ხელფასები და გასამრჯელოები	1,472	563
სხვა დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	226	-
სახელმწიფო საპენსიო ფონდის შენატანები	53	22
დირექტორებისა და შერჩეული თანამშრომლებისთვის გაცემული ფულადი პრემიები	33	-
გამოუყენებელი შვებულების ხარჯები	27	-
სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზღვევა	8	-
	1,819	585
სულ დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯები	3,358	585

22 პროფესიული მომსახურების ხარჯები

	2024	2023
ფინანსური კონსოლიდირებული ანგარიშგებას აუდიტის მომსახურების ხარჯები	30	38
იურიდიული კონსულტაცია	19	48
სხვა პროფესიული გადასახადები	-	14
სულ პროფესიული მომსახურების ხარჯები	49	100

23 სხვა შემოსულობები, წმინდა

	2024	2023
წმინდა შემოსულობა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების გადაფასებიდან	255	115
ზარალი უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან	(77)	(24)
სხვა ზარალი	(8)	(23)
სულ სხვა შემოსულობები, წმინდა	170	68

შპს სიღნაღი ჰოლდინგი (ჯგუფი)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 31 დეკემბერი 2024

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

24 ფინანსური შემოსავლები

	შენიშვნა	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი ნაღდ ფულზე და ფულადი სახსრების ეკვივალენტებზე		14	21
სულ ფინანსური შემოსავლები		14	21

25 ფინანსური ხარჯები

	შენიშვნა	2024	2023
საპროცენტო ხარჯი ნასესხებ სახსრებზე, ფინანსური ინსტიტუტებისგან	29	(1,963)	(1,531)
წმინდა ზარალი უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ნასესხები სახსრების გადაფასებიდან	29	(1,013)	(506)
საპროცენტო ხარჯი ნასესხებ სახსრებზე არა ფინანსური ინსტიტუტებისგან		(244)	-
ზარალი ფინანსური აქტივების შეწყვეტის აღიარებიდან		(135)	-
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე		-	(10)
სულ ფინანსური დანახარჯები, აღიარებული ხარჯად		(3,355)	(2,047)
მინუს: კაპიტალიზებული ფინანსური ხარჯები კვალიფიციურ აქტივებზე		1,833	1,359
ფინანსური დანახარჯები		(1,508)	(667)

შპს სიღნაღი ჰოლდინგი (ჯგუფი)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 31 დეკემბერი 2024

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

26 არამაკონტროლებელი წილი

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შეჯამება		
გრძელვადიანი აქტივები	114,082	83,311
გრძელვადიანი ვალდებულებები	(22,788)	(23,635)
წმინდა გრძელვადიანი აქტივები	91,294	59,676
მიმდინარე აქტივები	2,329	4,129
მიმდინარე ვალდებულებები	(4,482)	(6,911)
წმინდა მიმდინარე აქტივები	(2,153)	(2,782)
წმინდა აქტივები	89,141	56,894
აკუმულირებული NCI	24,081	17,068
	2024	2023
სულ ამონაგები	61	-
წლის ზარალი	(2,990)	(2,251)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-
სულ წლის სრული ზარალი	(2,990)	(2,251)
NCI-ზე მისაკუთვნიებული ზარალი	(1,729)	(675)
სულ NCI-ზე მისაკუთვნიებული სრული ზარალი	(1,729)	(675)
NCI-თვის გადახდილი დივიდენდები	-	-
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების შეჯამება	2024	2023
საოპერაციო საქმიანობაში მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	(320)	386
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(13,056)	(26,002)
საფინანსო საქმიანობაში მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	6,334	27,339
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე	(294)	222
წმინდა მატება/(კლება) ფულის და ფულის ეკვივალენტებში	(7,336)	1,945

27 გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

სასამართლო საქმეები. ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას ზოგჯერ შეიძლება წარმოიქმნეს პრეტენზიები კომპანიის წინააღმდეგ. მენეჯმენტს, თავისი შეფასებებისა და ორივე, შიდა და გარე პროფესიული რჩევის საფუძველზე, მიაჩნია რომ პრეტენზიებთან დაკავშირებით არ წარმოიქმნება რაიმე არსებითი ზარალი, რომელიც გადააჭარბებს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ანარიცხებს.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ახალი ოფიციალური დოკუმენტების გამოცემითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ. გადასახადების მიმოხილვასა და მოკვლევას მრავალი სახელმწიფო ორგანო ახორციელებს, რომელთაც გააჩნიათ მკაცრი საურავებისა და საპროცენტო ხარჯის დაკისრების უფლებამოსილება.

27 გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი უფრო ხანგრძლივი პერიოდითაც რჩება ღია. აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება საქართველოში წარმოქმნას საგადასახადო რისკები, რომელიც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მრავალ სხვა ქვეყანაში.

უზრუნველყოფაში ჩადებული და შეზღუდული აქტივები. ჯგუფის ძირითადი საშუალებები (მიწა, შენობები და დაუმთავრებელი მშენებლობა) შეზღუდულია საკრედიტო ხაზის შეთანხმებით სს „საქართველოს ბანკთან“ როგორც სესხის უზრუნველყოფით დატვირთული.

კაპიტალური ხარჯების ვალდებულებები. 2014 წლის 4 ივნისს შპს „სომგომ“ გააფორმა ხელშეკრულება სსიპ-თან თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოსთან სიღნაღში მიწის ნაკვეთებზე უსასყიდლოდ მიიღებსთვის. შეთანხმების თანახმად, შპს „სომგომ“ აიღო ვალდებულება კაპიტალური დანახარჯების - 20 000 ათასი ლარის ინვესტიციის გაწევისთვის. შეთანხმების თარიღიდან 72 თვის განმავლობაში მინიმუმ 135 ნომრიანი სასტუმროს მშენებლობისთვის. 2023 წლის 4 დეკემბრით დათარიღებული ცვლილების მიხედვით, ვალდებულების შესრულების ვადა გახანგრძლივდა 2024 წლის 4 დეკემბრამდე. 2018 წლის 14 ივნისს ჯგუფმა გააფორმა ხელშეკრულება შპს „სომგომ“-სთან რომ შეიძინოს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთები და შესაბამისი ვალდებულებები სიღნაღში. ჯგუფმა ამ ვალდებულებასთან დაკავშირებით გასცა 200 ათასი ლარის საბანკო გარანტია სს „საქართველოს ბანკთან“.

გარემოს დაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვით რეგულირების აღსრულება ვითარდება და მთავრობის უფლებემოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. საწარმო პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. ვალდებულებების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება.

პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, თუმცა, შეიძლება არსებითი იყოს. არსებული აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულება.

კლიმატის ცვლილების საკითხის გათვალისწინება. კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა და გააცნობიერა გლობალური შემოთავაზება კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე, ხოლო კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ უპასუხებს კომპანიის სრულყოფილიანი ოპერირების უზრუნველსაყოფად.

28 ფინანსური რისკების მართვა

საწარმოში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ქვედანაყოფის ძირითადი მიზანია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ქვედანაყოფების მიზანია იმის უზრუნველყოფა რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. საწარმოს აქვს საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება საწარმოს მიერ საქონლის კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს.

28 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საწარმოს აქვს საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის, თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება საწარმოს მიერ პარტნიორებთან ოპერაციების განხორციელების შედეგად, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს და ბალანსგარეშე ვალდებულებებს. საწარმოს მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში. საწარმოს

არ გაუცია ფინანსური გარანტიები, არ აუღია კრედიტის გაცემის ვალდებულება, არ გაუხსნია საკრედიტო ხაზები და ექსპორტ/იმპორტის აკრედიტივები.

საწარმოს ბიზნეს-მოდელის გათვალისწინებით მიჩნეულია, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს საწარმოზე, ამიტომ საწარმო ინვესტიციას არ ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვის რთულ სისტემებში.

ზღვრები. საწარმო თავისი საკრედიტო რისკის დონეების სტრუქტურას ქმნის პარტნიორებთან ან პარტნიორთა ჯგუფებთან დაკავშირებით მისაღები რისკის დონის ზღვრის დადგენით. საკრედიტო რისკის დონის ზღვრებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. მსგავსი რისკების მონიტორინგი რეგულარულ საფუძველზე ხორციელდება და წლიურად ან უფრო ხშირად მიმოიხილება.

ხელმძღვანელობა აანალიზებს და ამტკიცებს საკრედიტო რისკებს. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე რეგულარულად ამზადებენ ანგარიშებს, სადაც აქცენტი გაკეთებულია მომხმარებელთა ბიზნეს და ფინანსურ შედეგებზე. ხელმძღვანელობა იღებს და მიმოიხილავს ინფორმაციას იმ მომხმარებლებთან ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთობის შესახებ, რომლის კრედიტუნარიანობა უარესდება. საწარმოს ხელმძღვანელობა მიმოიხილავს პარტნიორების საქმიანობის შედეგებს და დამატებით ზომებს იღებს ვადაგადაცდილებულ ნაშთებთან მიმართებით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. ECL არის სამომავლო ფულადი ნაკადების ნაკლებობის ახლანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება (მაგ., საკრედიტო ზარალის შეწონილი საშუალო, სადაც შეწონვისთვის გამოყენებულია მოცემული დროის პერიოდში დეფოლტის რისკების ხდომილობები). ECL-ის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის განსაზღვრით. ECL-ის შეფასება ემყარება საწარმოს მიერ გამოყენებულ ოთხ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა ("PD"), დეფოლტის რისკი ("EAD"), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD") და დისკონტირების განაკვეთი.

დეფოლტის რისკი (EAD) არის სამომავლო დეფოლტის თარიღით რისკის შეფასება, რომელიც ითვალისწინებს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოსალოდნელი რისკის ცვლილებებს, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს და დამტკიცებული საკრედიტო ხაზის მოსალოდნელ ათვისებას. დეფოლტის ალბათობა დროის მოცემულ პერიოდში დეფოლტის მოხდენის ალბათობის შეფასებაა. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD") არის დეფოლტის დროს წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ის ეფუძნება სხვაობას მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელსაც მოსალოდნელია, რომ გამსესხებელი მიიღებს, უზრუნველყოფიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადის ჩათვლით. როგორც წესი, ის გამოისახება, როგორც EAD-ის პროცენტი. მოსალოდნელი ზარალი ახლანდელ ღირებულებამდე დისკონტირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. დისკონტირების განაკვეთი წარმოადგენს ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს ფინანსური ინსტრუმენტისთვის, ან მის მიახლოებულ მნიშვნელობას.

ხელმძღვანელობა ქმნის *მომსახურების ვადის განმავლობაში ECL* მოდელს, რაც გულისხმობს ზარალს, რომელიც წარმოიქმნება ამ ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი მომსახურების ვადის პერიოდში ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევაში. *12-თვიანი ECL* წარმოადგენს *მომსახურების ვადის განმავლობაში ECL*-ის ნაწილს, რაც განპირობებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში, ან ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი *მომსახურების ვადის პერიოდში*, თუ ეს წელზე ნაკლებია, ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული დეფოლტის შემთხვევებით.

28 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ECL, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ ამ ფინანსური ინსტრუმენტებისთვისაა შეფასებული, წარმოადგენს შეფასებას დროის მომენტში, ნაცვლად ციკლის განმავლობაში შეფასებებისა, რომლებიც საზოგადოდ გამოიყენება რეგულირების მიზნებისთვის. ამ შეფასებებში ითვალისწინებენ პერსპექტიულ ინფორმაციას, ანუ ECL ასახავს ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე, ალბათობით შეწონილ ცვლილებას.

დეფოლტის ალბათობის შეფასების მიზნებისათვის საწარმო დეფოლტს განსაზღვრავს, როგორც სიტუაციას, როდესაც რისკი აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთ ან მეტ კრიტერიუმს:

- მსესხებლის სახელშეკრულებო გადახდები 90 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული;
- მსესხებელი ქვემოთ მოცემული გადახდის არმოსალოდნელობის კრიტერიუმებს:
 - მსესხებელი გარდაიცვალა;
 - მსესხებელი გადახდისუუნაროა; და
 - მოსალოდნელი ხდება, რომ მსესხებლის გაკოტრების პროცესი დაიწყება.

გამჟღავნების მიზნებისთვის საწარმოს დეფოლტის განმარტება სრულად მიესადაგება გაუფასურებული კრედიტის მქონე აქტივების განმარტებას. ზემოთ მოცემული განმარტება გამოიყენება საწარმოს ყველა სახის ფინანსური აქტივებისთვის.

საწარმო ECL-ის შეფასებას ინდივიდუალურ საფუძველზე ახორციელებს ყველა ტიპის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

ECL-ის ინდივიდუალურად შეფასება ტარდება საკრედიტო ზარალის სხვადასხვა შესაძლო შედეგის შეფასების შეწონვით თითოეული შედეგის ალბათობით. საწარმო განსაზღვრავს სულ მცირე ორ შესაძლო შედეგს თითოეული შეფასებული სესხისთვის, საიდანაც ერთ-ერთი განაპირობებს საკრედიტო ზარალს, თუნდაც მსგავსი შედეგის ალბათობა ძალიან დაბალი იყოს.

როგორც წესი, ECL არის საკრედიტო რისკის შემდეგი პარამეტრების ნამრავლი: EAD, PD და LGD (რომლებიც განმარტებული და ახსნილია ზემოთ), რომელიც ახლანდელ ღირებულებამდე დისკონტირდება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით. ECL განისაზღვრება საკრედიტო რისკის პარამეტრების წინასწარი შეფასებით (EAD, PD და LGD) თითოეული სამომავლო [თვე / წელი]-სა და მომსახურების ვადის პერიოდისთვის, თითოეული რისკისთვის.

ეს სამი კომპონენტი ერთმანეთზე მრავლდება და შესწორდება გადარჩენის ალბათობით (ანუ, რისკი დაიფარა ან დეფოლტს ჰქონდა ადგილი გასულ თვეში). ასე ეფექტურად გამოითვლება ECL თითოეული სამომავლო პერიოდისთვის, რომელიც შემდეგ დისკონტირდება საანგარიშგებო თარიღამდე და ჯამდება. ECL-ის გამოთვლებში გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი არის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ან მისი მიახლოებითი მნიშვნელობა.

ECL მოდელში ჩართული პერსპექტიული ინფორმაცია. ECL-ის გამოთვლა გულისხმობს პერსპექტიული ინფორმაციის გამოყენებას. საწარმო გამოავლენს გარკვეულ ძირითად ეკონომიკურ ცვლადებს, რომლებიც კორელაციაშია საკრედიტო რისკსა და ECL-თან. საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები (“საბაზისო ეკონომიკური სცენარი”) მიიღება საწარმოსგან და წარმოადგენს მომდევნო წლის მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მდგომარეობის საუკეთესო შეფასებას.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი. საწარმოს გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ, და (გ) წილობრივ პროდუქტებთან (რომელთაგან ყველას აქვს საბაზრო ცვლილებების საერთო და სპეციფიკური რისკები), მიმართებით. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა, უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

28 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსების ცვლილებების გამო. საწარმოს წინაშეა ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავრცელებული სავალუტო კურსების ცვალებადობის გავლენის რისკი.

სავალუტო რისკთან მიმართებით ხელმძღვანელობა, როგორც ვალუტების მიხედვით, ასევე მთლიანი რისკის დონის ზღვარს ადგენს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საწარმოს სავალუტო რისკი საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს:

	31 დეკემბერი 2024			31 დეკემბერი 2023		
	მონეტარული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ლარი	1,256	(1,837)	(581)	296	(1,027)	(731)
აშშ დოლარი	976	(25,350)	(24,374)	4,061	(27,355)	(23,294)
ევრო	6	(1)	5	1	(19)	(18)
გირვანქა სტერლინგი	-	1,067	-	-	-	-
სულ	2,238	(26,121)	(24,950)	4,358	(28,401)	(24,043)

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიჩნეულია, არაფულადი აქტივები არ წარმოქმნის არსებით სავალუტო რისკს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალის მგრძნობელობა საწარმოს სამუშაო ვალუტასთან მიმართებით გაცვლითი კურსების გონივრულად შესაძლო ცვლილებებისადმი, სხვა ცვლადების უცვლელად დატოვების პირობებში:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	(2,437)	(2,329)
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	2,437	2,329
ევროს გამყარება 10%-ით	1	(2)
ევროს გაუფასურება 10%-ით	(1)	2

რისკი გამოთვლილია მხოლოდ საწარმოს სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში გამოსახული ფულადი ნაშთებისთვის. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმოს სავალუტო რისკი არ არის წლის განმავლობაში ტიპური რისკის წარმომადგენლობითი.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. საწარმო ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდობის რისკის მართვას საწარმოს ხელმძღვანელობა ახორციელებს. ხელმძღვანელობა ახორციელებს საწარმოს ფულადი ნაკადების ყოველთვიური გარდამავალი პროგნოზის მონიტორინგს.

საწარმო ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებსა და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადის მიხედვით. ცხრილში ნაჩვენებია არადისკონტირებული ფულადი ნაკადები, მთლიანი სასესხო ვალდებულებები და ფინანსური გარანტიები. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

შპს სიღნაღი ჰოლდინგი (ჯგუფი)**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 31 დეკემბერი 2024***(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***28 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)**

როდესაც გადასახადელი თანხა ფიქსირებული არ არის, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ვითარების გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადასახადელი თანხები გადაყვანილია სპოტ სავალუტო კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1 - 3 თვე	3 - 12 თვე	12 თვე - 5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
31 დეკემბერი 2024						
სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 12)	3,333	-	-	-	-	3,333
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 14)	-	-	1,255	15,163	19,034	35,452
სულ სამომავლო გადახდები, პროცენტის და ძირითადი თანხის ჩათვლით	3,333	-	1,255	15,163	19,034	38,785
31 დეკემბერი 2023						
სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 12)	2,528	-	-	-	-	2,528
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 14)	354	709	3,190	17,016	14,886	36,155
სულ სამომავლო გადახდები, პროცენტის და ძირითადი თანხის ჩათვლით	2,882	709	3,190	17,016	14,886	38,683

შპს სიღნაღი ჰოლდინგი (ჯგუფი)**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 31 დეკემბერი 2024***(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***29 კაპიტალის მართვა**

საწარმოს მიზნები, კაპიტალის მართვისას არის

- დაიცვას საწარმოს უნარი, რომ განაგრძოს მუშაობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება მფლობელებისთვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, და

- შეინარჩუნოს ოპტიმალური კაპიტალის სტრუქტურა რათა შეამციროს დანახარჯი კაპიტალზე.

იმისათვის რომ საწარმომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, საწარმომ შეიძლება შეასწოროს მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები იმისათვის რომ შეამციროს სასესხო ვალდებულებები. მსგავსად სხვებისა ინდუსტრიაში, საწარმო კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს ლევერიჯის კოეფიციენტების მეშვეობით.

ეს კოეფიციენტები გამოითვლება შემდეგნაირად:

- წმინდა ვალი გაყოფილი სულ კაპიტალზე, როგორც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაშია მოცემული და
- წმინდა ვალი გაყოფილი მმართველობის ქვეშ არსებულ სულ კაპიტალზე, რაც წმინდა ვალის და სულ კაპიტალის ჯამია.

(ა) ლევერიჯის კოეფიციენტები:

ლევერიჯის კოეფიციენტები იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
წმინდა ვალი	21,624	23,263
სულ საკუთარი კაპიტალი	85,567	56,934
მთლიანი კაპიტალი	107,191	80,197
ლევერიჯის კოეფიციენტები:		
წმინდა ვალი შეფარდებული სულ საკუთარ კაპიტალზე	25.3%	40.9%
წმინდა ვალი შეფარდებული მთლიან კაპიტალზე	20.2%	29.0%

	ნასესხები სახსრები	ფული და ფულის ექვივალენტები (მოიცავს შეზღუდულ ფულს)	სულ
წმინდა ვალი, 1 იანვარი 2023	13,767	(639)	13,128
ფულადი ნაკადები			
ფულადი ნაკადები, პროცენტის გარდა	11,552	(2,151)	9,401
გადახდილი პროცენტები	(1,482)	-	(1,482)
არაფულადი ცვლილებები			
დარიცხული პროცენტები	1,531	-	1,531
კურსთაშორის სხვაობები	505	180	685
წმინდა ვალი, 31 დეკემბერი 2023	25,873	(2,610)	23,263
ფულადი ნაკადები			
ფულადი ნაკადები, პროცენტის გარდა	1,834	1,538	3,372
გადახდილი პროცენტები	(2,095)	-	(2,095)
გადახდილი სააქციო კაპიტალი	(6,022)	-	(6,022)
არაფულადი ცვლილებები			
დარიცხული პროცენტები	2,185	-	2,185
კურსთაშორის სხვაობები	1,013	(92)	921
წმინდა ვალი, 31 დეკემბერი 2024	22,788	(1,164)	21,624

შპს სიღნაღი ჰოლდინგი (ჯგუფი)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 31 დეკემბერი 2024

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30 რეალური ღირებულებების გამჟღავნება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის რეალური ღირებულებით შეფასებული მაგრამ რომელთათვისაც, სამართლიანი ღირებულება გამჟღავნებულია.

რეალური ღირებულების იერარქიის დონეები, რომელთა მიხედვით ხდება რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებების დაჯგუფება, არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024				31 დეკემბერი 2023			
	1-ლი დონე	2-ე დონე	3-ე დონე	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონე	2-ე დონე	3-ე დონე	საბალანსო ღირებულება
ფინანსური აქტივები								
- სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	1,074	1,074	-	-	1,748	1,748
- ფული და ფულის ექვივალენტები	-	964	-	964	-	2,410	-	2,410
- სხვა ფინანსური აქტივები	-	200	-	200	-	200	-	200
სულ აქტივები	-	1,164	1,074	2,238	-	2,610	1,748	4,358
ფინანსური ვალდებულებები								
- სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	3,333	3,333	-	-	2,528	2,528
- სესხები	-	22,788	-	22,788	-	25,873	-	25,873
სულ ვალდებულებები	-	22,788	3,333	26,121	-	25,873	2,528	28,401

31 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კაპიტალის გაზრდა. 2025 წლის განმავლობაში ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 8,000 ათასი ლარით გაიზარდა. საიდანაც 7,818 ათასი ლარის ფულადი შენატანი განხორციელდა.